პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური		
	<p>სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყოფა სპეციალური ტრანსფერი, რომლის გაანგარიშებაც ხდება შემდეგი პრინციპით:</p> <p>ა) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 200 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 10 000 ლარი;</p> <p>ბ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 201-დან 400 მაცხოვრებელს, გამოეყოფა 12 000 ლარი;</p> <p>გ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა შეადგენს 401-დან 1 000 მაცხოვრებელს,</p>		



<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>გამოყოფა 16000 ლარი; დ) დასახლებას, რომელშიც მაცხოვრებელთა რაოდენობა აღემატება 1 000 მაცხოვრებელს, გამოყოფა 20 000 ლარი.</p> <p>დასახლებაში განსახორციელებელი პროექტის შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით: ა) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა დასახლების საერთო კრებაზე, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი; ბ) დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა შეადგენს 501-დან 1000 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 100 ამომრჩეველმა; გ) დასახლებას, რომელშიც რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობა აღემატება 1000 ამომრჩევლს, პროექტი შეირჩევა ამომრჩევლებთან კონსულტაციების გზით, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არანაკლებ 200 ამომრჩეველმა.</p> <p>თანხის გამოყოფასთან და ხარჯვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები და კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #2752 დადგენილებით.</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში; იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა</p>

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 02 09</p>	<p>მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში 70</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>2022 წლის განმავლობაში კვლავ აქტუალური რჩება შიდარაიონული ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდარაიონული ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვაც გააჩნია. ამ მიზნით 2022 წელსაც განხორციელდება ცაგერი-ტვიშის , ცაგერი-ლაილაში- თაბორის, ცაგერი-ღვირიშის, ცაგერი-ზოგიში, ცაგერი-ოყურეში, ცაგერი-ქულბაქი, ცაგერი-მახაში, ცაგერი-დეხვირი, ცაგერი-უსახელო და ცაგერი-აღვის მიმართულებებზე მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის საწვავის თანხის გამოყოფა და სუბსიდირების სახით გადაცემა. (გადაზიდვებს ახორციელებს შ.პ.ს. „საჭე-ცაგერი“) .ამავე პროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება</p>		
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტის შეუფერხებელი დაკავშირება რაიონულ ცენტრთან</p>		

<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი 02 10</p>	<p>დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში 300</p>
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (5%),</p>		
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებელი განსახორციელების უზრუნველყოფა</p>		



პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“	დაფინანსება ათას ლარში
	02 12		214
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	გზების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობაში რეალური შედეგების მისაღწევად, წყალმომარაგების სისტემის ხელმძღვანელობის კონტროლის მიზნით, მისი სანიტარულ -ჰიგიენურ პირობების,ასევე სასოფლო-სამეურნეო დარგის აღდგენა-განვითარების თვალსაზრისით, არსებული პრობლემების აღმოფხვრა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სხვადასხვა პრიორიტეტების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 490 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	460
03 03	დასუფთავების ღონისძიებები ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება“	460
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	03 03		460
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება“		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ცაგერის კეთილმოწყობისა და მომსახურების სამსახური ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 2 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა. ნარჩენების გატანა (კონტეინერების დაცლა) ხორციელდება ქალაქ ცაგერისდან და მუნიციპალიტეტის სოფლიდან. შეგროვებული ნარჩენები გადის ქ.ცაგერის ნაგავსაყრელებზე. პროგრამიდან ფინანსდება ქალაქის ქუჩების და სკვერების სისუფთავის დაცვა, ქალაქის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი ტუალეტების		



	მოვლა-შენახვა, ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება დადაცვა პირუტყვისაგან, უპატრონო მანქანა-ძაღვების კანონის ფარგლებში ლოკალიზაცია.სანიაღვრე მეურნეობის გამართული მუშაობა, ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - კომუნალური მომსახურების ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიღწეული იქნება ესთეტიკური და ჰიგიენური იერსახის მოწესრიგება,სისუფთავის და სანიტარული მდგომარეობის მაღალი დონე.ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება და დაცვა პირუტყვისაგან, მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება ცაგერის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივ ტუალეტებში დაცული იქნება ჰიგიენური ნორმები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის და ვიზიტორთა კეთილდღეობას, სხვა დამატებითი ღონისძიებები.

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1370 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
04 00	განათლება	1370
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	1270
04 02	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	100
04 04		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 01		1270
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ცაგერის სკოლამდელიდა სკოლისგარეშესააღმზრდელო სამსახური		
პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.		
	შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ცაგერის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ცაგერისმუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები.მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას.		



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამის სააღმზრდელო პროცესით. სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვები მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები;
--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		100
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი		
პროგრამის აღწერა	ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, სადაც გაერთიანებული არიან მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლების მოსწავლეები. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების, ბაღის აღსაზრდელების და მოსახლეობის ჩართვა სხვადასხვა კონკურსებში, ხელოვნების მოყვარულთა წახალისება-პატივისცემა, მუსიკალური-ქორეოგრაფიული მონაცემების განვითარება და დახვეწა(მუსიკალური ოჯახები, დიდები და პატარები - დედა-სვილი, მამა-შვილი, ბაბუა და შვილიშვილი), ეროვნული ღირებულებებისადმი ერთგულების ჩამოყალიბება ახალგაზრდობაში, პოეზიის პატივისცემა(ნორჩი კალმოსანი, „მთის პოეტი), წარსულისადმი ინტერესის გაღვივება და პატრიოტული სულისკვეთების გამომუშავება მოსწავლე-ახალგაზრდობაში,(ჩამოგიტანეთ საქართველო ფერეიდანში, იმ საქართველოდან ამ საქართველოში). კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემა, ტრადიციების აღდგენა-ჩამოყალიბება(„შემოდგომის სურათები“, „ცაგერის ბაზრობა“, „მკლავს ჩემი ტკბილი ლეჩხუმის ჰავა“)		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელება: - ხელს შეუწყობს განათლების სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების ზრდას, გაზრდის მათ მოტივაციას. მონაწილეობის მიღება, სხვადასხვა მუნიციპალურ, რეგიონალურ ფესტივალებში, გაცვლითი პროგრამების მეშვეობით სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მოსწავლეების გაცნობა და დამეგობრება, მოწვევა ლეჩხუმში და ჩვენი მხარის პოპულარიზაცია.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1725 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1725
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	465
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	465
05 01 01	ა(ა)იპ ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლა	255
05 01 02	ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ხვამლი	95
05 01 03	ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“	115



05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1040
05 02 01	ა(ა)იპ კულტურის ცენტრი	290
05 02 02	ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმი	165
05 02 03	ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა	72
05 02 04	ა(ა)იპ სამხატვრო სკოლა	51
05 02 05	ა(ა)იპ მთავარი ბიბლიოთეკა	165
05 02 06	კულტურის ღონისძიებები	67
05 02 07	ტელე მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	10
05 02 09	ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი	60
05 02 11	ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრი	50
05 02 15	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი	110
05 03	ახალგაზრდული პრ ოგრამების დაფინანსება	195
05 03 01	ა(ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრი	195
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	25

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		465
ა(ა)იპ ცაგერის სასპორტო სკოლა;			



პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“; ა(ა)იპ ცაგერის ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“;
პროგრამის აღწერა	<p>მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სასპორტო სკოლა, საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“ და ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“.</p> <p>სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული წრეები: ჭიდაობა(ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა), ორთაბრძოლები, მკლავჭიდი, კალათბურთი, ჭადრაკი, რაგბი, კარეტე, მაგიდის ჩოგბურთი, სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.</p> <p>საფეხბურთო კლუბ „ხვამლი“ ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 3 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას ღებულობს რეგიონალურ ტურნირებში. ფუნქციონირებს გოგონათა გუნდი. ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“ ფუნქციონირებს დიდების გუნდი, ქვიშის და თოვლის ფრენბურთის გუნდები, მოზარდების, კლუბის გუნდი საქართველოს ჩემპიონია, გუნდები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რეგიონალურ და ქვეყნის ჩემპიონატებში, სახვდასხვა ფესივალეებში.</p>
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. <p>მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლის	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		255
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ცაგერის კომპლექსური სასპორტო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სასპორტო სკოლა. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტული წრეები, ესენია: ჭიდაობა(ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა), ორთაბრძოლები, მკლავჭიდი, კალათბურთი ; ჭადრაკი ; რაგბი ; კარეტე; მაგიდის ჩოგბურთი . სკოლაში სამწვრთნელო პროცესი, დასვენების დღეების გარდა, მიმდინარეობს ყოველდღიურად. სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში მუნიციპალიტეტის, რეგიონის და საქართველოს მასშტაბით. წარმატებით მონაწილეობენ ქვეყნის გარეთ საერთაშორისო ტურნირებში</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. <p>მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ხვამლი	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		95
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ხვამლი		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი ხვამლი. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. კლუბში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 3 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). კლუბში საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას ღებულობს რეგიონალურ ტურნირებში. ფინანსდება გოგონათა გუნდი. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის</p>		



	კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებების, გუნდების ეკვიპირების და სხვა ხარჯები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - რეგიონალურ ტურნირებზე მონაწილეობა და საპრიზო ადგილების დაკავება; - მეტი მოზარდის ჩართვას ფეხბურთში ; <p>-ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენა მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ცაგერი	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		115
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ფრენბურთის კლუბი ცაგერი		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ფრენბურთის კლუბი ცაგერი. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ფრენბურთის განვითარებას. მონაწილეობას ღებულობს საქართველოს ჩემპიონატში . კლუბში არსებობს ქვიშის და თოვლის“ ფრენბურთის გუნდები, კლუბის მწვრთნელები და მსაჯეები მონაწილეობას იღებენ ქვეყნის სხვადასხვა ტურნირებში. ახალგაზრდა ფრენბურთელების აღზრდა საქართველოს ნაკრებისთვის . ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ახალი სპორტული კომპლექსის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია: ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდების და მოქალაქეების ფიზიკური გაჯანსაღება; მოქალაქეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მოზარდების და ქალთა ფრენბურთის პოპულარიზაცია.</p> <p>მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ფრენბურთით დაინტერესებულ პირთა გაზრდილი რაოდენობა</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1040
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<p>ა(ა)იპ - ცაგერის კულტურის ცენტრი; ა(ა)იპ მთავარი ბიბლიოთეკა ტელე მმართველობა და საგამომცემლო საქმიანობა,</p> <p>ა(ა)იპ - სამუსიკო სკოლა; ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი</p> <p>ა(ა)იპ - სამხატვრო სკოლა. ა(ა)იპ ესტეტიკური აღზრდის ცენტრი</p> <p>ა(ა)იპ - ისტორიული მუზეუმი ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და ხელსეწყობის ცენტრი</p>		
პროგრამის აღწერა	<p>ცაგერის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგადად ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე. ესენია:</p> <p>ა(ა)იპ - ცაგერის კულტურის ცენტრი ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება სახალხო თეატრი,სახალხო ანსამბლი „სალაღობო“</p> <p>თეატრებში წარმოდგენებს მართავს როგორც ცაგერის მუნიციპალიტეტში ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.</p> <p>ა(ა)იპ - ცაგერის სამუსიკო სკოლის ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო განათლების სკოლა. სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია: საფორტეპიანო, საგუნდო და ქართული ხალხური სიმღერების. სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო სამუსიკო განათლებას იღებსცაგერში მუნიციპალიტეტში მცხოვრები 70 ბავშვი.</p> <p>ა(ა)იპ - სამხატვრო სკოლის ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა. სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და</p>		



	გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 50 ბავშვი.
პროგრამის აღწერა და მოსალოდნელი შედეგი	კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა; მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დაინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. სამხატვრო სკოლის აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ცაგერის კულტურის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		290

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ცაგერის კულტურის ცენტრი
--	--------------------------------

ქვეპროგრამის აღწერა	ცაგერის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ადგილობრივი კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციების ხელშეწყობას. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ასიგნებები გამოიყოფა კულტურის სფეროს დაწესებულებების პროგრამისათვის. პროგრამის შედეგადად ქვეპროგრამისაგან და იგი შესაბამისად ხორციელდება მუნიციპალური ა(ა)იპ-ის ბაზაზე, ეს არის: ა(ა)იპ - ცაგერის კულტურის ცენტრი. ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს და ფინანსდება გრ.მდივნის სახ.სახალხო თეატრი,სახალხო ანსამბლი „სალაღობო“, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი, ბავშვთა 2 ქორეოგრაფიული ანსამბლი,ქალთა ანსამბლი, მუსიკალური სტუდია, კამერული გუნდი, კულტურული ობიექტი „მწვანე თეატრი“,ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება სხვადასხვა თეატრალური გამოფენების მოწყობა, სპექტაკლების და საბავშვო მიუზიკლების დადგმა. ანსამბლები და თეატრი აქტიურ მონაწილეობას იღებენ, როგორც ცაგერის მუნიციპალიტეტში ასევე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში და საზღვარგარეთ კონცერტებსა და ფესტივალებში.
---------------------	---

ქვეპროგრამის აღწერა და მოსალოდნელი შედეგი	კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა;
---	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ისტორიული მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		165

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ისტორიული მუზეუმი
--	----------------------------

ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ცაგერის ისტორიული მუზეუმი მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ზე მეტი მუზეუმში წლის განმავლობაში მნიშვნელოვან თარიღებზე(იუბილეებზე) ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები და გამოფენები.
---------------------	--

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია მუზეუმის ექსპოზიციის განახლება - რეაბილიტაცია, ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდა, როგორც ადგილობრივი, ისე ტურისტების.
---	--



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)ივ სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		72
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ივ სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა.		
	სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია 65 მოსწავლე. სამუსიკო სკოლაში სახელოვნებო სამუსიკო განათლებას იღებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 65 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს 14(ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) თანამშრომელს. სკოლა ხელს უწყობს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, ისწავლება ფორტეპანო, ფუნქციონირებს კლასიკური მუსიკის გუნდი, მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის კულტურულ ღონისძიებებში, ასევე რეგიონულ ფესტივალებში.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო სკოლის ქვეპროგრამის მიზანია: ფორტეპიანოს, სიმღერების, კლასიკური მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)ივ სამხატვრო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		51
ქვექვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ივ სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას მუნიციპალიტეტში მცხოვრები 50 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულია რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 17 თანამშრომელს.		
	ქვეპროგრამა ზრუნავს მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე და იგი ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესებს, საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების დარგები:ხატვა, თექა, ჭრა-კერვა, ხალიჩა-ფარდაგები, ეწყობა სხვადასხვა გამოყენებითი ხელოვნების ალსაზრდელების , ასევე სკოლის კურსდამთავრებულების, გაცვლითი პროგრამა აქვს ონის სამხატვრო სკოლასთან.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)ივ მთავარი ბიბლიოთეკა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		165
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)ივ მთავარი ბიბლიოთეკა		
	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლების მიზნით იგეგმება		



ქვეპროგრამის აღწერა	ბიბლიოთეკების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ერთი მთავარი, საბავშვო, ახალგაზრდობის და სოფლის 39 ბიბლიოთეკა. მიმდინარეობს წიგნის ფონდის შევსება და დაკომპლექტება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 173359 ბეჭდურ ერთეულს, აქედან 41231 ცალი არის ქალაქის წიგნადი ფონდი, ხოლო 132128 ცალი სოფლების წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკას ჰყავს 68 სამტატო თანამშრომელი, აქედან 29 ქალაქის, ხოლო 39 სოფლის. ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარება.(წიგნის დღე, დედა ენის დღე, მკითხველის დღე და ა.შ).
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობის და განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება წიგნით, და მათი წიგნიერების ღონისძიება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		67

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური
--	--

ქვეპროგრამის აღწერა	<p>კულტურული ღონისძიებების ფარგლებში ფინანსდება შემდეგი ქვეპროგრამები:</p> <ul style="list-style-type: none"> -სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამა; - საპატო წოდებების მინიჭების ქვეპროგრამა; -სპორტის და ახალგაზრდობის ქვეპროგრამა -რელიგიური ღონისძიებები <p>საპატო წოდებების მინიჭების ქვეპროგრამა ითვალისწინებს 3 სახის წოდების მინიჭების ღონისძიებების დაფინანსებას, ესენია: ცაგერის საპატო მოქალაქის წოდებების მინიჭება; კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატო წოდებების მინიჭება და/ან ჯილდოების გადაცემა; ცაგერის საპატო მოქალაქის წოდება ენიჭება სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება მუნიციპალიტეტისა და/ან ქვეყნის წინაშე. გააჩნია განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის, ხელოვნების და სხვა მიმართულებით გამორჩეული მიღწევები.</p> <p>კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატო წოდების მინიჭების ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს მოღვაწეებისთვის საპატო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას.</p>
---------------------	--

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობის და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; ზოგადობის ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა;</p> <p>ღირსეული, ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანების დაფასება, მხარდაჭერა და სტიმულირება. საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირებას.</p> <p>განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა.</p>
---	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელე მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 07		10

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება
--	---



ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის ფუნქციონირება, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ინფორმაციის განთავსება, გამოდის ყოველთვიური გაზეთი „ლეჩხუმი“
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საზოგადოების ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებზე სამომავლო პერსპექტივებზე.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 09		60
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ქალთა უფლებების და გენდერული თანასწორობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქალთა რეგიონალური და სათემო საქმიანობის, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გენდერულ საკითხებთან მიმართებაში და საქართველოში ბოლო დროის შექმნილი მდგომარეობის, ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის მიზნით, ასევე ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით შეიქმნა ა(ა)იპ ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ცენტრი. მოსაწილოება სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში. ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით კვლევების და სტატისტიკური ინფორმაციების მოპოვება და წარმოება, შესაბამისი ბაზის შექმნა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ქალთა ჩართულობის ზრდა; ქალებისათვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება; ქალებისათვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის. ბავშვთა უფლებების დაცვა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 11		50
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ესთეტიკური აღზრდის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მოზარდ თაობაში ქართლი ხალხური ცეკვების პოპულარიზაციასა და განვითარებას, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, ცენტრში ქორეოგრაფიას ეუფლება 80-ზე მეტი მოზარდი, არის 3 ასაკობრივი ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე რეგიონალურ და საერთაშორისო ღონისძიებებში, ცენტრში ფუნქციონირებს სახალხო ანსამბლი „ლეჩხუმი“. ცენტრში ისწავლება ასევე სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ცეკვები. საქმიანობას ახორციელებს 4 ქორეოგრაფი.		
ქვეპროგრამის მიზანი და	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქართული ხალხური და სხვა ქვეყნების ცეკვების პოპულარიზაციას და ჯანსაღი		



მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების წესის დამკვიდრებას.
--------------------	-------------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 15		110
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>საინფორმაციო ბაზის შექმნას, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების, მათ შორის სასტუმროების, ტურისტული ლოკაციების, კვების და სხვა ობიექტების შესახებ. ცენტრი ახორციელებს ბაზის მუდმივ განახლებას. ცენტრი ამზადებს და გამოსცემს ტურისტულ საინფორმაციო ბუკლეტებს და რუკებს, ორგანიზებას უწევს ტურისტულ პრომო კლიპების გადაღებას. ცენტრი მონაწილეობს იღებს სხვადასხვა გამოფენებში სადაც წარადგენს და პოპულარიზაციას უწევს მუნიციპალურ პროდუქციას და წარმოაჩენსცაგვერის მუნიციპალიტეტის ტურისტულ შესაძლებლობებს. ცენტრი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს ტურისტულ კომპანიებთან, აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესახებ. ტურისტული ცენტრი შემოსულ ვიზიტორებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციით.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მიმზიდველი ტურისტული გარემოს შექმნა ადგილობრივი კულტურული, ეთნოგრაფიული, ეკო-სისტემისა და ბუნებრივი ღირშესანიშნაობების შენარჩუნებით. ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ტურიზმის განვითარება, შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება.</p> <p>ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ტურისტების ნაკადის გაზრდა, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებსა და მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		195
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალგაზრდობის და, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრი		
	<p>პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. იგი ასევე გულისხმობს ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ცაგერში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა. ტრანსპორტირება განხორციელდება სამ ძირითად მარშრუტზე სასწავლო პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების გადაადგილების უზრუნველსაყოფად.</p> <p>პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდობისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით</p>		



პროგრამის აღწერა	<p>ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ. პროგრამა შედგება შემდეგი შემდეგი 3 ქვეპროგრამისაგან:</p> <ul style="list-style-type: none"> - ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა; - მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამა; - მოსწავლე ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამა. <p>ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შექმნას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას;</p>
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა;</p> <p>ახალგაზრდობისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება;</p> <p>ახალგაზრდობისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის და, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრი	დაფინანსება ათას ლარში
	05 03 01		195

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალგაზრდობის და, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული განვითარების ცენტრი
--	--

ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. იგი ასევე გულისხმობს ცაგერის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ცაგერში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა. ტრანსპორტირება განხორციელდება სამ ძირითად მარშრუტზე სასწავლო პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების გადაადგილების უზრუნველსაყოფად.</p> <p>პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდობისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ.</p> <p>პროგრამა შედგება შემდეგი შემდეგი 3 ქვეპროგრამისაგან:</p> <ul style="list-style-type: none"> - ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა; - მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამა; - მოსწავლე ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამა. <p>ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შექმნას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას;</p>
---------------------	--

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა;</p> <p>ახალგაზრდობისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება;</p> <p>ახალგაზრდობისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.</p>
---	---



მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 580,8 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	580,8
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	100,8
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	100,8
06 02	სოციალური დაცვა	480
06 02 01	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება ა	0
06 02 02	ოჯახების და ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	350
06 02 03	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა(უფასო სასადილო)	130

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	06 01		100,8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ცაგერის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
